



## საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ ნ ე ბ ბ

N 54

29 მარტი, 2019 წელი  
ქ. თბილისი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ნ ე ბ ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესი“ (დანართი #1).
2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტს დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა ინფორმირება დეტალურად იმ წესების შესახებ, რომელიც ძალაში შედის წინამდებარე ბრძანებით და მასვე დაევალოს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესის“ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.
3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების დაგზავნა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს.
4. ბრძანება ძალაში შედის 2019 წლის 6 მაისიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

*დამტკიცებულია:*

საქართველოს სახალხო დამცველის  
2019 წლის 29 მარტის №54 ბრძანებით

*ცვლილებები შევიდა:*

საქართველოს სახალხო დამცველის  
2019 წლის 18 ივლისის №133 ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის  
2020 წლის 3 აგვისტოს №81 ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის  
2020 წლის 22 ოქტომბრის №110 ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის  
2021 წლის 10 მაისის №63 ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის  
2021 წლის 19 ოქტომბრის №137 ბრძანებით

*დანართი №1*

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და  
სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესი

### **მუხლი 1. მოქმედების სფერო**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და  
სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს  
ერთიან სტანდარტს სახალხო დამცველის აპარატში (შემდეგში - აპარატი) მსუბუქი  
ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების გადანაწილებისას, განსაზღვრავს  
ავტომობილების ცალკეული კატეგორიებს და შესაბამისად მათ მინიმალურ ტექნიკურ  
მახასიათებლებს და ადგენს ზღვრული ფლოზის ღირებულებას.

### **მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აპარატი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

ბ) აპარატის თანამშრომელი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დასაქმებული პირი.

გ) განპიროვნებული ავტომობილი - ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება აპარატის ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში აპარატის კონკრეტულ თანამშრომელზე მისი უშუალო გადაადგილებისათვის;

დ) სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილი - ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად კონკრეტული თანამშრომლ(ებ)ისათვის ან სტრუქტურული ერთეულისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს ან/და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე სხვადასხვა თანამშრომლის მიერ.

### **მუხლი 3. განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირები**

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირები განისაზღვრება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.

2. განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირები ვალდებულები არიან სისტემატიურად აწარმოონ N1 დანართით განსაზღვრული ჟურნალი.

### **მუხლი 3<sup>1</sup>. განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირების მიერ საწვავის ხარჯვის მონიტორინგი**

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირების მიერ საწვავის ხარჯვის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი.

2. აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკის მენეჯერი:

ა) ყოველი კვარტალის ბოლოს ახორციელებს მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირების მიერ ათვისებული საწვავის ლიმიტის (ყოველთვიური ლიმიტი, მივლინებისთვის გამოყოფილი საწვავის ოდენობა) და მისი მიზნობრივი გამოყენების შესამოწმებლად.

ბ) მონიტორინგის შედეგებს, ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, წარუდგენს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსს და სახალხო დამცველის პირველ მოადგილეს.



3. განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე ნებისმიერი პირი, რომელსაც ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკის მენეჯერი მოსთხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას მონიტორინგის მიზნებისათვის, ვალდებულია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს მას ეს ინფორმაცია.

4. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი:

ა) ყოველთვიურად ახორციელებს მონიტორინგს წინა თვის განმავლობაში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირების მიერ გამოყოფილი საწვავის ლიმიტის (ყოველთვიური ლიმიტი, მივლინებისთვის გამოყოფილი საწვავის ოდენობა) შესაბამისად ჩასხმის მიზნობრიობის შესამოწმებლად.

ბ) მონიტორინგის განხორციელებისას, ყოველთვიურად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე რომელიმე პირისგან მოითხოვს ახსნა-განმარტებას/ინფორმაციას შესამოწმებელი თვის განმავლობაში გამოყოფილი საწვავის ერთი ან რამდენიმე ჩასხმის მიზნობრიობის შესახებ.

გ) მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიშს, ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს 6 რიცხვისა, წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილეს.

5. განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე ნებისმიერი პირი, რომელსაც ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი მოსთხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას გამოყოფილი საწვავის ჩასხმის შესახებ, ვალდებულია მოთხოვნიდან 1 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსს.

6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილით მოსარგებლე პირების მიერ საწვავის ხარჯვის მონიტორინგის შედეგების მიხედვით აპარატი მიიღებს ზომებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 4. აპარატში ავტომობილების რაოდენობის განსაზღვრისა და გამოყენების წესი**

1. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, აპარატში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილების რაოდენობა განისაზღვრება აპარატის საჭიროებებისა და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.

2. აპარატის ავტოპარკი ძირითადად შედგება მსუბუქი ავტომობილებისაგან. ზამთრის პერიოდში გადაადგილების, ასევე კლიმატური და რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით შესაძლებელია მაღალი გამავლობის ავტომობილების შექმნა, რომელიც შეესაბამება სეზონური და რელიეფური ავტომობილების კატეგორიას.

3. აპარატის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილების თანამშრომლებისათვის გადაცემის შემთხვევაში, **სახალხო დამცველის**

პირველ მოადგილესა და იმ თანამშრომელს შორის, რომელსაც გადაეცა ავტომობილი ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე, გამონაკლისია ერთჯერადად კონკრეტული მიზნისათვის, სარგებლობაში გადაცემის შემთხვევები. ერთჯერადად გადაცემის შემთხვევაში მოსარგებლე თანამშრომელმა უნდა დაიცვას ამავე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

4. აპარატის თანამშრომელი, რომელსაც მფლობელობაში გადაეცა განპიროვნებული ან სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილი, თავის თავზე იღებს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას მასზე გადაცემული ავტომობილის მოვლის/დაუცველობისათვის და ვალდებულია:

ა) სიფრთხილით მოეპყროს მასზე გადაცემულ ავტომობილს და მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად;

ბ) დაიცვას, გაუფრთხილდეს და მიზნობრივად გამოიყენოს ავტომობილი და დადგენილი საწვავის ლიმიტი (ყოველთვიური საწვავის ლიმიტი და მივლინებისთვის გამოყოფილი საწვავი), რომელიც გადაეცა სამსახურებრივი მიზნით და შეასრულოს ამავე ბრძანებით განსაზღვრული სხვა მოვალეობები;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს ემუქრება განადგურების, დაზიანების ან არამართლზომიერი ხელყოფის საფრთხე, აპარატის თანამშრომელმა ამის თაობაზე უნდა აცნობოს ადმინისტრაციულ და ფინანსურ დეპარტამენტს. თუ გარემოება მოითხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას, ვალდებულია, თავად მიიღოს აუცილებელი ზომები;

დ) დადგენილი წესით ან/და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ინფორმაცია მასზედ მინდობილი ავტომობილის შესახებ აპარატის ხელმძღვანელობას/უშუალო ხელმძღვანელს/აპარატის ადმინისტრაციულ და ფინანსურ დეპარტამენტს.

ე) მიიღოს მონაწილეობა მასზე მინდობილი ავტომობილის ინვენტარიზაციაში;

ვ) შრომითი ურთიერთობის დასრულებისას ან მოთხოვნის შემთხვევაში - მანამდეც, აპარატის თანამშრომელი ვალდებულია, დააბრუნოს აპარატს მასზე გადაცემული ავტომობილი.

5. აპარატის თანამშრომლის მიზეზით მასზე მინდობილი ავტომობილის დაცულობის უგულებელყოფის შემთხვევაში აპარატისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრა და ანაზღაურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. აპარატის თანამშრომელს ეხსნება მატერიალური პასუხისმგებლობა, თუ ზიანი გამოწვეულია არა მისი ბრალეულობით.

7. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში განპიროვნებული და სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილების მფლობელები ვალდებულნი არიან ავტომობილი განათავსონ სახალხო დამცველის აპარატის ავტოსადგომზე შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში, აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სახალხო დამცველი.

8. სამორიგეო-საერთო სარგებლობის ავტომობილის აპარატის ერთდროულად რამდენიმე თანამშრომელზე გადაცემის შემთხვევაში, ავტომობილით სარგებლობისას აპარატის თანამშრომლები ვალდებულები არიან შეავსონ N2 დანართით დამტკიცებული სპეციალური ჟურნალი.

### **მუხლი 5. ავტომობილების კატეგორიები**

1. ავტომობილის კატეგორია/ტიპი არის ამავე წესებით დადგენილი მინიმალური სპეციფიკაციისა და ავტომობილის ფლობის ღირებულების შესაბამისად განპიროვნებული და სამორიგეო საჭიროების მსუბუქი ავტომობილების სტანდარტი, რომელსაც ადმინისტრაციული დანიშნულება გააჩნია.

2. ყოველი შესყიდვის დროს ავტომობილის შესაბამისი ტიპისათვის ტექნიკურ მოთხოვნებს განსაზღვრავს სატენდერო კომისია, მაგრამ არანაკლებ ამავე წესით დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნებისა.

3. ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება 100 ათას კილომეტრზე ავტომობილის ექსპლუატაციით გამოწვეული საგარანტიო მოთხოვნების შესაბამისი ხარჯის და ავტომობილის შესყიდვის ფასის ერთობლიობით. 100 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების კომპონენტებია:

ა) ავტომობილის შესყიდვის ფასი;

ბ) ძრავის ზეთის ხარჯი;

გ) ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;

დ) წინა და უკანა ხუნდების ხარჯი;

ე) ჰაერის ფილტრის ხარჯი;

ვ) კონდინციონერის ფილტრის ხარჯი;

ზ) ანთების სანთლები;

თ) ძრავის ღვედი;

ი) საწვავის ხარჯი (შერეული წვის პირობებში) საპასპორტო მონაცემებით.

ავტომანქანის შესყიდვის დროს საწვავის ხარჯის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 1-ის. 100 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, აპარატის სატენდერო კომისია მიმწოდებელს უდგენს ვალდებულებას აპარატს მიაწოდოს წინა და უკანა ხუნდები საჭიროების შემთხვევაში, სულ მცირე ხუთჯერ, ხოლო წინა და უკანა ხუნდების ყოველი შემდგომი შესყიდვა გადასახდელი იქნება აპარატის მიერ არა დადგენილი ფლობის ღირებულების ფარგლებიდან, არამედ ავტოტექნომსახურების დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

4. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი სატენდერო კომისიის მოთხოვნით აპარატს წარუდგენს განფასებას (საქონლის მახასიათებლები და მწარმოებელი, რაოდენობა, ცვლის პარამეტრი და ერთეულის ფასი) ფლობის ღირებულების კომპონენტების მიხედვით. აპარატი ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტთან აფორმებს მხოლოდ ავტომობილის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ – „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ავტომობილის ფლობის ღირებულების კომპონენტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, აპარატი ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციასთან (მიმწოდებელთან, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას იმ საგარანტიო პირობების ანალოგიურად, რომელსაც თავდაპირველი მიმწოდებელი სთავაზობს აპარატს) დებს ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი აკმაყოფილებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ წლოვანებას ან/და გარანტიის პირობებს. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი განფასება ძალაში იქნება ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე, ფლობის განმავლობაში, თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას, ეროვნულ ვალუტაში, საქონლის ფაქტობრივი მიწოდების დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

5. ყოველი კონკრეტული შესყიდვისას აპარატი ატარებს ბაზრის კვლევას და იგივე ტიპის ავტომობილის ისტორიული სტატისტიკის ანალიზს ობიექტური სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით (რაოდენობრივი და სხვა კომერციული პირობების გათვალისწინებით), მაგრამ არაუმეტეს სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ფლობის ღირებულებისა თითოეული ტიპის მიხედვით, რომლის თაობაზე მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. აპარატი ბაზრის კვლევის ჩატარების და ზღვრული ფლობის ღირებულების (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისის და საწვავის ხარჯის ჯამი) დადგენის შემდეგ ტენდერს აცხადებს ავტომანქანის ღირებულებაზე. სატენდერო კომისია განსაზღვრავს ავტომანქანის ზღვრულ ღირებულებას და სავარაუდო პრეტენდენტს უდგენს ვალდებულებას ავტომანქანის ზღვრული ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო კომისიის მიერ დადგენილ ზღვრული ფლობის ღირებულებას (ავტომანქანის ფასს დამატებული ზღვრული ფლობის ღირებულების და საწვავის ფასი). ამასთან, ბაზრის კვლევის შედეგებისა და აპარატის საჭიროების გათვალისწინებით, აპარატის სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას მანქანების შესაბამისი ტიპებისა და რაოდენობის შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოცხადების თაობაზე. სატენდერო კომისია, ტენდერის პირობად განსაზღვრავს ასევე მიმწოდებლის ვალდებულებას, ტენდერის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული ფასი

წარმოადგინოს კომპონენტების მიხედვით (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისის და საწვავის ხარჯის ფასი).

6. აპარატში შეიძლება შექმნილი იქნეს მსუბუქი ავტომობილები ან **ჰიბრიდული ავტომობილები ან მაღალი გამავლობის ავტომობილები**. თითოეული ამ ტიპის ავტომობილისათვის დადგენილია მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები წინამდებარე ბრძანების N3 დანართი. ავტომობილების ზომები განისაზღვრება ქარხნული წარმოების აქსესუარების ჩათვლით.



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი						
სამორიგეო/განპიროვნებული ავტომობილის მოძრაობის უწყისი						
მძღოლის სახელი გვარი:						
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი:						
#	ტრანსპორტირების თარიღი	გასვლის დრო	დაბრუნების დრო	დანიშნულების ადგილი	თანამშრომელ(ბი) ი ვისი ტრანსპორტიეზაც ხდება	სპიდომეტრის მაჩვენებელი (ივსება ყოველ ორ კვირაში ერთხელ პირველი კვირის პირველ სამუშაო დღეს გასვლისას და მეორე კვირის ბოლო სამუშაო დღეს შემოსვლისას)
1						
2						
3						
..						
..						
n						

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი					
სამორიგეო ავტომობილის სარგებლობის ჟურნალი					
თანამშრომელთა სახელები და გვარები რომელთა საერთოდ სარგებლობაში სატრანსპორტო საშუალება:					
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი:					
#	თანამშრომლის სახელი, გვარი	თარიღი	სარგებლობის დაწყების თარიღი	სარგებლობის დასრულების თარიღი	სპიდომეტრის ჩვენება (ივსება ყოველ სარგებლობის დაწყების და დასრულების დროს)
1					
2					
3					
4					
...					
n					

**მსუბუქი ავტომობილების მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები**

ძრავას მოცულობა არანაკლებ ( მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე )	1.5
ცხენის ძალა არანაკლებ	120
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური/ე.წ ტიპტრონიკი, არანაკლებ 5-საფეხურიანი
საწვავის ტიპი	ბენზინი/დიზელი
სიგრძე არანაკლებ	4200
სიგანე არანაკლებ	1700
სიმაღლე არანაკლებ	1400
წვა ( შერეული წვის პირობებში )100 კმ / ზე არაუმეტეს	10 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე ( ძრავა , ხიდი , გადაცემათა კოლოფი ), 3 წელი ან150000 კილომეტრი ( რომელიც ადრე შესრულდება ) სრულავტომანქანაზე , გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა (ელექტრონათურები , ელექტრომცველები , შუშის საწმენდიჯაგრისები , გადაბმულობის ქურო , საყრდენი დისკიდა მომჭიმი საკისარი )
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს : შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP ( ევრო ქრამტესტი ) ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი ) ან JNCAP ( იაპონური ქრამტესტი )
ელექტროშუშები	ოთხივე
საბარგული არანაკლებ	450 ლიტრი
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ . გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ . რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 50 კმ

ჰიბრიდული ავტომობილების მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები	
ძრავას მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე )	1.5
ცხენის ძალა არანაკლებ	120
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური ან/და ე.წ ტიპტრონიკი, არანაკლებ 5-საფეხურიანი
საწვავის ტიპი	ჰიბრიდი (ბენზინი)
სიგრძე არანაკლებ	4200 მმ
სიგანე არანაკლებ	1700 მმ
სიმაღლე არანაკლებ	1400 მმ
წვა (შერეული წვის პირობებში) 100 კმ/ზე არაუმეტეს	5,6
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა ( ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაბმულობის ქურო, საყრდენი დისკი და მომჭიმი საკისარი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს: შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი) ან IIHS ( ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
ელექტროშუშები	ოთხივე
საბარგული არანაკლებ	550 ლიტრი
ძარის ტიპი	ჰეჩბეკი/სედანი/მსუბუქი მაღალი გამავლობის/მაღალი გამავლობის
კარებების რ/ზა	4/5
გარბენი, არაუმეტეს	50 კმ
მოცურების საწინააღმდეგო სისტემა	კი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამამლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS (მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა)
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე

**მაღალი გამავლობის ავტომობილების მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები**

ძრავას მოცულობა არანაკლებ (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	2.0
ცხენის ძალა არანაკლებ	160
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური ან/და ე.წ ტიპტრონიკი, არანაკლებ 5-საფეხურიანი
საწვავის ტიპი	ბენზინი/დიზელი
სიგრძე არანაკლებ	4600
სიგანე არანაკლებ	1800
სიმაღლე არანაკლებ	1700
წვა ( შერეული წვის პირობებში) 100 კმ / ზე არაუმეტეს	15 ლიტრი
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე ( ძრავა , ხიდი, გადაცემათა კოლოფი ), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება ) სრულავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა (ელექტრონათურები, ელექტრომცველები , შუშის საწმენდი ჯაგარისები, გადაბმულობის ქურო , საყრდენი დისკი დამომჭიმი საკისარი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვალოს : შემოთავაზებული მარკის ავტომობილის ნებისმიერ მოდელზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი ) ან IIHS ( ამერიკულიქრამტესტი ) ან JNCAP ( იაპონური ქრამტესტი )
ელექტროშუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა , უკანა საქარე მინის ელ . გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ან ავტომატური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	შუშების ელ . გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ . რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 50 კმ



